მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი 12(146) 2017 წ. 16-30 ივნისი ფასი 50 თეთრი

რელიგიური დღესასწაული

რამაზანი მიულოცეს

კახეთის *გუბერნატორმა* ირაკლი ქადაგიშვილმა კახეთში მცხოვრებ მუსულმან მოსახლეობას წმინდა თვე – რამაზანი მიულოცა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში "იფტარს" (სადღესასწაულო ვახშამი) შეუერთდა.

„დღევანდელი დღე არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე მუსულმანებისთვის.

ქართული სახელმწიფო ზრუნავს თითოეული მისი მოქალაქის კეთილდღეობაზე და იცავს მათ უფლებებს. ამის ნათელი მაგალითია ,რომ ჩვენ დღეს ერთად ვართ შეკრებილები. ჩვენ ვზრუნავთ , რომ ყველა სოფელში მოხდეს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. უზრუნველყოფილი იყოს ყველა სოფელი გზით,გაზით ,წყლით , ელექტროენერგიით. გამართულად ფუნქციონირებდეს საბავშო ბაღები, სკოლები. ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი იყოს ყველა სერვისი. ჩვენს ქვეყანაში, როგორც თავისუფალ და დემოკრატიულ სახემლწიფოში დაცული არის ყველა ადამიანის პიროვნული უფლება და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება. ეს არის საქართველოს, როგორც თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი და დანიშნულება. ჩვენი დღევანდელი ერთადყოფნაც აი, ამ ერთი ქვეყნის ერთიან თანამოქალაქეობას უსვამს ხაზს. აქ შეკრებილ თითოეულ ადამიანს მინდა გისურვოთ მოიპოვოთ ურთიერთსიყვარული, სითბო და გაწიოთ ქველმოქმედება, რაც დამახასიათებელია რამაზანის დღესასწაულისათვის"-მიმართა ირაკლი ქადაგიშვილმა შეკრებილ მოსახლეობას.

აღსანიშნავია, რომ მუსულმანთათვის რამაზანის თვე სულიერად ამაღლების, ურთიერთდახმარების და ურთიერთპატივისცემის თვეა. ამ თვეში მუსლიმები განსაკუთრებული მონდომებით ასრულებენ ღვთისმსახურებას, ზრუნავენ ავადმყოფებზე, ეხმარებიან ობლებს და უმწეოებს. მარხული ადამიანები მთელი დღის მანძილზე უარს ამბობენ საკვებზე, სასმელსა და ყველა ამქვეყნიურ სიამოვნებაზე.

"იფტარს" ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მუსულმანთა სულიერი ლიდერები.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს **ფრიდონ ბურდულს**. ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს, ჯანმრთელობას, წინსვლას კარიერულ და პროფესიულ საქმიანობაში.

საგარეჯოს
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩვენი პატარებისათვის

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების რეაბილიტაცია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ნინოწმინდაში** სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულების რეაბილიტაცია დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს. პროექტით გათვალისწინებულია ბაღის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, რომლიც მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 227 580 ლარს შეადგენს.

100 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი ახალ სასწავლო წელს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობით შეხვდება.

10-11 ივნისის სეტყვის ზარალი მუნიციპალიტეტში დათვლილია

10-11 ივნისის სეტყვამ დიდი ზარალი მიაყენა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას. დაზიანდა, ზოგიერთ ერთეულში კი მთლიანად განადგურდა ნათესი ერთწლიანი კულტურების, ასევე, მრავალწლიან ნარგაობათა მოსავალი. ყველაზე მეტი ზარალი სეტყვამ ქ. **საგარეჯოსა და გიორგიწმინდის** მოსახლეობას მიაყენა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით **საგარეჯოში** მთლიანობაში დაისეტყვა 150 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთები. აქედან 50-80%-ის ფარგლებში 50 ჰა, დანარჩენი 100 ჰა კი 100 %-ით განადგურდა. **გიორგიწმინდაში** სეტყვამ დააზიანა 70 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთები და 30 ჰექტარი ვენახი. აქედან – 50-80%-ის ფარგლებში 20 ჰა საკარმიდამო ნაკვეთი და 10 ჰა ვენახი, 100%-ით 50 ჰა საკარმიდამო ნაკვეთები და 20 ჰა ვენახი.

სეტყვამ 20-50 %-ის ფარგლებში დააზიანა **წყაროსთავის** მოსახლეობის 5 ჰა საკარმიდამო ნაკვეთები, **ნინოწმინდაში** – 20-50%-ის ოდენობით 10 ჰა საკარმიდამო ნაკვეთები, 50-80%-ის ფარგლებში – 50 ჰა საკარმიდამო ნაკვეთები, ანუ მთლიანობაში 60 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

ბადიაურში სეტყვამ დააზიანა 10 ჰა საკარმიდამო ნაკვეთები და 40 ჰა ვენახი. აქედან, 20%-მდე ფარგლებში 5 ჰა საკარმიდამო ნაკვეთები და 20 ჰა ვენახი. 20-დან 50%-მდე 5 ჰა საკარმიდამო და 20 ჰა ვენახის ფართობები.

დიდი ზარალი მიადგა **ყანდაურის** მოსახლეობასაც. აქ დაისეტყვა 30 ჰა საკარმიდამო და 50 ჰა ვენახების ფართობები. აქედან, 20-50%-ით 10 ჰა საკარმიდამო ნაკვეთები და 20 ჰა ვენახი, 50-80 %-მდე 20 ჰა საკარმიდამო ნაკვეთები და 30 ჰა ვენახი.

სეტყვამ შედარებით ნაკლებად დააზარალა **ვერხვიანისა და შიბლიანის** მოსახლეობა, სადაც 20%-მდე დაისეტყვა 15-15 ჰა საკარმიდამო ნაკვეთები და ვენახები.

გ. დაბახიშვილი

№12(146) 2017 წელი, 16-30 ივნისი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

28 ივნისი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა.

სხდომის მონაწილეებისათვის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე", ამავე დღის წესრგის II საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ", „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ მოხსენებები გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მეზვრიშვილმა***.

დღის წესრიგის IV საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ საკითხთა სამსახურის უფროსმა პაატა მარგებაძემ.***

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის გიორგი ქურდოვანიძის*** მოხსენება ეხებოდა საკითხს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურში, კერძოდ, „ნიახურას" ციხის ტერიტორიაზე არსებული ხეების (ნაძვების) გადაბელვა-გადაკაფვითი სამუშაოების შესრულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხებზე და თითოეულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

27 ივნისი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი*** უძღვებოდა:

მუნიციპალიტეტის სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებმა თამარ გარსევანიძემ, ნანა ტაველიშვილმა, გულნაზ გიუნაშვილმა, ზურაბ ყირმელაშვილმა, გიორგი ჭიაბერაშვილმა, იქრამ ბაირამოვმა, შმაგი ბერიძიშვილმა, და სხვებმა ისაუბრეს ცალკეულ სოფლებში არსებული პრობლემების შესახებ. საკითხი უმეტესწილად მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებასა და სოფლიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ეხებოდა.

თათბირზე წარმოდგენილ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ კონკრეტული დავალებები მიეცათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსს **ბექა ფეიქრიშვილსა** და შპს „საგარეჯოს" დირექტორს სანდრო უსტიაშვილს.

ანგარიშს აბარებს დეპუტატი და სოფლის გამგებლის წარმომადგენელი

გიორგიწმინდის თემი

***გიორგიწმინდის** თემში სამი სოფელი შედის: გიორგიწმინდა, ანთოკი, მარიამჯვარი და ამავე თემში შემავალი სამგორის დასახლებაც.*

თემში გამგებლის წარმომადგენელია გიორგი ჭიაბერაშვილი, ხოლო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში გიორგიწმინდიდან მაჟორიტარი დეპუტატი ვანო ბექიაშვილია. ამასთან ვანო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა.

დღეს წარმოგიდგენთ იმ საქმიანობას, რასაც გამგებლის წარმომადგენელი და სოფლის დეპუტატი წლების განმავლობაში თავიანთი აქტიურობით თემში შემავალი სოფლების პრობლემების მოგვარებისათვის ეწეოდნენ.

2013 წელი – მოხდა სოფელ გიორგიწმინდის ცენტრალური გზის ორმული დამუშავება.

გიორგიწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში გაკეთდა ცენტრალური გათბობა, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრით შეიცვალა შენობის ორივე შიდა სართული.

2014 წელი – გიორგიწმინდის ცენტრში მოეწყო მინი-სტადიონი. „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით გიორგიწმინდისთვის 43669 ლარი იყო გამოყოფილი, ანთოკისათვის – 5133 ლარი, მარიამჯვრისათვის – 2189 ლარი. სწორედ ამ თანხით მოხდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, სპორტდარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მინისტადიონის მოწყობა, გზის რეაბილიტაცია საავტომობილო გზიდან სოფლამდე (ანთოკი, მარიამჯვარი), სასაფლაომდე გზის მოსწორება (გიორგიწმინდა), სოფლის (გიორგიწმინდის) ცენტრში არსებული დიდების მემორიალის აღდგენა, გიორგიწმინდა-მარიამჯვარის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის მოწესრიგება.

2015 წელი – რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ასფალტის საფარით დაიფარა სოფლის ცენტრალური ქუჩა (დაფინანსება 147.446 ლარი), „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით გიორგიწმინდაში მოეწყო ცენტრალური ქუჩის გარეგანათება (44992 ლარი), მოხდა სასმელი წყლის რეზერვუარიდან ახალი მაგისტრალის გაყვანა და სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეცვლა-რეაბილიტაცია (4703 ლარი). მოწესრიგდა გიორგიწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღის წლობით პრობლემატური საკანალიზაციო ქსელი; მოწესრიგდა ეზო, შეძენილ იქნა და მოეწყო ეზოს სათამაშო-გასართობი მოწყობილობები. სასმელი წყლის ჭაბურღილზე შეიცვალა 5 ტუმბო.

2016 წელი – „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის მთელი რიგი პროექტები განხორციელდა. სოფელ გიორგიწმინდაში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი (დაფინანსება 40427 ლარი); ანთოკში – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაცია (4712 ლარი); მარიამჯვარში შიცვალა სასმელი წყლის ცენტრალური მილი (49467ლარი). წინა წლებიდან მორჩენილი თანხით 9548 ლარით გიორგიწმინდაში ჭაბურღილზე დამატებითი რეზერვუარი მოეწყო. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა გიორგიწმინდის თემის საექიმო ამბულატორიას, შეიცვალა კარ-ფანჯარა. მოხდა გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის ეზოში არსებული ბურჯის რესტავრაცია.

2017 წელი – მიმდინარეობს გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის ეზოში არსებული მეორე ბურჯის სარესტავრაციო სამუშაოები. ამ წელს მოხდება გიორგიწმინდის ცენტრალურ ქუჩაზე არსებული ორმოების ასფალტის საფარის მოწესრიგება. გიორგიწმინდის სამ უბანში: ე.წ. „მეკოკიშვილების", „ბარამაშვილების", „დიღმელაშვილების" უბნებში მოეწყობა ქუჩების გარე-განათება.

საბავშვო ბაგა-ბაღში

გარე-განათება

კანონი, რომელიც 1 ივლისიდან ამოქმედდება

კარიერულ განვითარებაზე ორიენტირებული

20 ივნისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე, რომელიც ***სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია „სპექტრის“ თავმჯდომარემ* სოფიო მანჯულაშვილი-ხარებავამ** ჩაატარა. შეხვედრას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. როგორც უკვე ცნობილია, 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც ძალაში შევა 2017 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული კანონი კი ქმნის კარიერულ წინსვლასა და დამსახურებაზე დაფუძნებულ პროფესიულ საჯარო სამსახურს.

ქალბატონმა სოფიომ შეხვედრის მონაწილეებს ფართო ინფორმაცია მიაწოდა საჯარო სამსახურის არსის, ცნებებისა და პრინციპების შესახებ, ასევე, გააცნო მათ ის ძირითადი ცვლილებები, რომლებიც კანონის ამოქმედებისთანავე შევა ძალაში. საინტერესო იყო მისი საუბარი საჯარო სამსახურში მიღების, კარიერის მართვის, მოხელის უფლებებისა და მოვალეობის, მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

საუბრისას დამსწრე საზოგადოებიდან იყო შეკითხვები, რომლებსაც ამომწურავი პასუხი გაეცა, ბოლოს კი გაიმართა მწვავე დისკუსია მთელი რიგი საკითხების მიმართ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჩვენ ქ-ნ სოფიოს ვთხოვეთ მოკლედ და კონკრეტულად განემარტა ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის 1 ივლისიდან ასამოქმედებელი საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ ცალკეული მიმართულებები, რომელიც მცირეოდენ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს აღნიშნული კანონის შესახებ:

– კანონი, რომელიც 1 ივლისიდან ამოქმედება, მოკლედ რომ ვთქვათ, ქმნის კარიერულ განვითარებაზე დაფუძნებულ პროფესიულ საჯარო სამსახურს; განსაზღვრავს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა სამართლებრივ სტატუსს და მათ კატეგორიებს; აყალიბებს საჯარო მოხელეთა კლასიფიცირების ახალ სისტემას, დეტალურად აწესრიგებს დისციპლინური წარმოების პროცესს და მნიშვნელოვნად ზრდის მოხელეთა უფლების დაცვის გარანტიებს.

შეხვედრაზე მე შევეცადე დაინტერესებული პირებისათვის მიმეწოდენა ინფორმაცია აღნიშნული კანონის შესახებ. ეს ინფორმაცია კი ეფუძნება გაეროს განვითარების მხარდაჭერით, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის Vkaid-ის ფინანსური დახმარებით. არასამთავრობო ორგანიზაცია „სდს“ მიერ, პროექტის „საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის მხარდამჭერ სამოქალაქო საზოგადოების მიერ“ ფარგლებში მომზადებულ „გზამკვლევს“.

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხსა თუ სიახლეზე ინფორმაცია მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს, რაც ხელს შეუწყობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მნიშვნელოვანი საკითხების პრაქტიკაში დანერგვას, დაინტერესებული პირების ინფორმირებასა და ახალი მექანიზმების ეფექტიან განხორციელებას.

გზამკვლევი მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას: ა) საჯარო სამსახურის არსი, ცნებები და პრინციპები; ბ) სამსახურში მიღება და კარიერული განვითარება; გ) საჯარო მოხელის უფლებები და მოვალეობები; დ) დისციპლინური პასუხისმგებლობა, სამსახურიდან გათავისუფლება და უფლების დაცვის მექანიზმები. გზამკვლევი ასევე წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პრაქტიკაში დანერგვისას შესაძლო სადისკუსიო საკითხებსა და მონიტორინგის ჩარჩოს, რომელიც დაინტერესებულ პირებს მისცემს ინფორმაციას თუ როგორ განახორციელონ კანონის იმპლემენტაციის პროცესზე ეფექტური კონტროლი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საჯარო სამსახურის რეფორმის მნიშვნელობიდან გამომდინარე ამ გზამკვლევის გამოყენება შეუძლია საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირს, არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ მედიის, ასევე საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს, რომელიც დაინტერესებულია საჯარო სამსახურში მიმდინარე რეფორმით.

– საუბარში თქვენ ოთხი ძირითადი მიმართულება ახსენეთ. იქნებ განმარტოთ ისინი?

– დიახ. დავიწყოთ პირველით. ეს არის

საჯარო სამსახურის არსი, ცნებები და პრინციპები

საჯარო სამსახურის რეფორმა და კონცეფცია

2013 წლიდან, საქართველოს მთავრობამ დაიწყო საჯარო სამსახურის რეფორმა. რეფორმის მიზანი იყო პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტის შემოღება, მოხელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიების გაძლიერება, კარიერასა და დამსახურებაზე დაფუძნებული სისტემის შექმნა, პოლიტიკისა და ადმინისტრაციის გამიჯვნა.

საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების მიზნით შეიქმნა 15 წევრისაგან შემდგარი საჯარო სამსახურის რეფორმის საკოორდინაციო საბჭო - სამინისტროებისა და პარლამენტის წარმომადგენლები. აღნიშნულმა საბჭომ შეიმუშავა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, რომელიც 2014 წელს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით. რეფორმის კონცეფციის მომზადების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

პროექტი განხორციელდა USAID-ის პროგრამის – „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ – მხარდაჭერით. დისკუსიებს ფასილიტაცია გაუწია პროგრამამ – „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ – მის კონტრაქტორთან, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლასთან ერთად (ასევე, – „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“ და „სმარტ კონსალტინგის“ კონსორციუმთან ერთად). სამუშაო პროცესში ასევე, ჩართულები იყვნენ საერთაშორისო ექპერტები (პროფ. ჰენრიკ ჯესი, პროფ. ჰანს-აქიმ როლი) და სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები (EU/OECDSIGMA, UNDP, NATO-ს პროფესიული განვითარების პროგრამა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობა).

საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციამ საჯარო სამსახურის რეფორმის ეფექტიანი განხორციელებისათვის შეიმუშავა რეკომენდაციები და ალტერნატივები 10 მიმართულებით :

1. საჯარო სამსახურის განმარტება
2. საჯარო სამსახურის საზღვრები
3. საჯარო სამსახურის მართვის, კოორდინაციისა და ზედამხედველობის ცენტრალიზებული სისტემა
4. კლასიფიკაციის სისტემა
5. ანაზღაურების სისტემა
6. საჯარო სამსახურში მიღება
7. საჯარო მოხელეების მართვა
8. საჯარო მოხელეების უფლება-მოვალეობები
9. სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება
10. თანაბარი შესაძლებლობები მამაკაცებისა და ქალებისთვის

აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე, საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2015 წლის 27 ოქტომბერს და მისი ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 1 ივლისი . 2017 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დადგენილებები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ქმნის კარიერულ განვითარებაზე დაფუძნებულ პროფესიულ საჯარო სამსახურს; განსაზღვრავს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა სამართლებრივ სტატუსს და მათ კატეგორიებს; აყალიბებს საჯარო მოხელეთა რანგებისა და კლასების სისტემას, დეტალურად აწესრიგებს დისციპლინური წარმოების პროცესს და მნიშვნელოვნად ზრდის საჯარო მოხელის უფლების დაცვის გარანტიებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მიზნად ისახავს პოლიტიკისა და ადმინისტრაციის გამიჯვნას, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის საფუძველზე.

მეორე მიმართულება ეს არის საჯარო სამსახურის ცნება და სუბიექტთა სტატუსი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალმა კანონმა გამიჯნა საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო სამსახურის ცნება.

სახელმწიფო სამსახური არის საქმიანობა:

საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებაში;

საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში;

საქართველოს სასამართლოში;

თავდაცვის, ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ ორგანოში.

სახელმწიფო მოსამსახურე: კონსტიტუციით ან სპეციალური კანონით განსაზღვრული სტატუსისა და უფლებამოსილების მქონეა; საქმიანობს სახელმწიფო სამსახურში, არჩევით და დანიშვნით თანამდებობაზე.

განვმარტოთ ახლა, რომ სახელმწიფო მოსამსახურეა საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობის წევრი, საქართველოს მოსამართლე, სახალხო დამცველი, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსი და ა.შ.

რაც შეეხება საჯარო სამსახურის საქმიანობას, ეს არის სახელმწიფო სამსახურში (საქართველოს პარლამენტისა და სასამართლოს აპარატში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, სამინისტროს აპარატში და ა.შ.)

მუნიციპალიტეტის ორგანოებში საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (გარდა, კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა). სათათბირო ორგანოების, საზედამხედველო და მაკონტროლებელი ორგანოების, წარმომადგენლობითი ორგანოების დროებითი კომისიებისა და გუბერნატორების აპარატებში, ადმინისტრაციაში

– რას ნიშნავს საჯარო მოსამსახურე?

– ეს არის პროფესიული საჯარო მოხელე - პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე და ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს;

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - პირი, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით;

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - პირი, რომელიც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ასრულებს დამხმარე ან არამუდმივ ამოცანებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ამომწურავად განსაზღვრავს იმ სუბიექტთა წრეს, რომლებზედაც არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება, ან რომლებზედაც გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედება, თუკი სპეციალური კანონით არ იქნება დასაქმებულთა სტატუსი სხვაგვარად განსაზღვრული.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირებზე

სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი - საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები;

პოლიტიკური თანამდებობის პირი - სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი და მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის გამგებელი, მერი, გამგებლის, მერის მოადგილე.

საკანონმდებლო ხელისუფლების სისტემაში დასაქმებული შემდეგ პირებზე - პარლამენტის აპარატის უფროსი და მისი მოადგილე; ფრაქციის, დროებითი საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიის აპარატებში დასაქმებული პირები, ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი ორგანოების ფრაქციების აპარატების თანამშრომლები;

აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში დასაქმებულ შემდეგ პირებზე - პრემიერ-მინისტრის, მთავრობისა და მინისტრების სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელები, საპარლამენტო მდივანი და მათ მოადგილეები; ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;

სასამართლო ხელისუფლების სისტემაში დასაქმებულ შემდეგ პირებზე - მოსამართლეები; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები;

სახელმწიფოს მეთაური - პრეზიდენტის შესაბამის ორგანოებში დასაქმებულ შემდეგ პირებზე - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და მის მოადგილე; სათათბირო ორგანოების უფროსები და მოადგილეები; საპარლამენტო მდივანი და მისი მოადგილე; ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;

კონტროლის, ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოებში დასაქმებულ შემდეგ პირებზე - ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი; გენერალური აუდიტორი და მის მოადგილე; სახალხო დამცველი და მისი მოადგილე; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და მისი მოადგილე; ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრი, მისი უფროსი და მოადგილე; ცესკოს, უსკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების არჩეული წევრები, ბიზნეს ომბუდსმენი და მისი მოადგილე;

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მართლმადიდებლობა

პეტრე-პავლობის მარხვა

სულთმოფენობის მეორე შვიდეული ყოველთა წმიდათა კვირიაკედ იწოდება, შემდეგი ორშაბათიდან კი წმინდა მოციქულთა მარხვა იწყება. ეს მარხვა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ხსენებით გვირგვინდება, ამიტომ სახელიც მათი ჰქვია - პეტრეპავლობის მარხვა.

მოციქულთა პეტრესა და პავლეს ხსენების დღე ძველი სტილით 29 ივნისს (ახალი სტილით - 12 ივლისს) აღინიშნება. მეორე დღეს, ე.ი. ძველი სტილით 30 ივნისს, ეკლესია იხსენიებს **წმინდათა დიდებულთა** და **ყოვლად ძებულთა მოციქულთა კრებას: პეტრეს, ანდრიას, იაკობ ზებედის ძის, იოანეს, ფილიპეს, ბართლომეს, თომას, მათეს, იაკობ ალფეს ძეს, იუდა იაკობის ძეს (თადეოზს), სვიმონ მოშურნესა და მატთათას.**

აღსანიშნავია, რომ ამავე დღეს, ძველი სტილით 30 ივნისს (ახ. სტ. - 13 ივლისს), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობს.

ამ მრავალდღიან მარხვას ძველად „ერგასის შემდგომს“ უწოდებდნენ. ამჟამად მას ზაფხულის მარხვადაც იხსენიებენ. საეკლესიო გადმოცემით, იგი ჯერ კიდევ მოციქულებს დაუწესებიათ.

წმიდა მოციქულები პეტრე და პავლე თავიანთი მოციქულებრივი და მოწამეობრივი ღვაწლით გამორჩეულნი არიან სხვა მოციქულთა შორის, რის გამოც ეკლესია მათ იხსენიებს, როგორც „თავთა მოციქულთა“. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა გზით მოვიდნენ ქრისტესთან (კერძოდ, პეტრე თორმეტ მოწაფეთაგანია, ხოლო პავლე ქრისტიანთა ყოფილი მდევნელი სავლე, სასწაულებრივი მოქცევის შემდეგ გახდა უფლის უდიდესი მსახური), მათ შორის არის ერთგვარი სულიერი სიახლოვე, მსგავსება, რაც თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ ისინი ერთდროულად აღესრულნენ იმპერატორ ნერონის დროს, 67 წელს, როდესაც პეტრე თავდაყირა გააკრეს ჯვარზე, ხოლო პავლეს თავი მოჰკვეთეს.

სულთმოფენობის შემდეგ მოციქულები მარხვითა და ლოცვით ემზადებოდნენ სახარების საყოველთაო ქადაგებისთვის; დააარსეს ეკლესიები და ხელი დაასხეს ხუცებს. „საქმე მოციქულთა“ მოგვითხრობს: „და უკურთხნეს მათ ეკლესიად-ეკლესიად ხუცესნი და ლოცვითა და მარხვით შეჰვედრეს იგინი უფალსა, რომლისაცა მიმართ ჰრწმენა“ (საქმე 14, 23).

პეტრეპავლობის მარხვას „მოციქულთა განწესებაც“ იხსენიებს: „სულთმოფენობის შემდგომ იზეიმეთ ერთი შვიდეული და შემდგომ იმარხულეთ“.

პეტრეპავლობის მარხვის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ათანასე დიდთან, ამბროსი მედიოლანელთან (IV ს.) და ლეონ დიდთან (V ს.). წმინდა ათანასე დიდი იმპერატორ კონსტანტინესადმი მიძღვნილ სიტყვაში, რომელშიც არიანელებს ამხელს, წერს: „წმინდა ორმოცდამეათე დღის შემდგომ, მარხვაში, ერი სალოცავად გავიდა სასაფლაოზე“; წმინდა ამბროსი მედიოლანელი ამბობს: „ღმერთმა ისე განაგო, რომ მონაწილეობა მიგვეღო მის ვნებებში, ორმოცდღიან მარხვაში; ასევე ბედნიერგვყო თავისი აღდგომითა და სულთმოფენით... ხოლო ამ მხიარულ დღეთა შემდეგ ჩვენ ისევ ვმარხულობთ“; ლეონ დიდი კი წერს: „საეკლესიო მარხვები წელიწადის დროთა შესაბამისად ისეა განაწილებული, რომ წელიწადის ყოველ დროს შესაბამისი თავშეკავებული მოღვაწეობაც ახლავს“.

პეტრეპავლობის მარხვა სულთმოფენობიდან ერთი კვირის შემდეგ იწყება. სულთმოფენობის დღესასწაული, თავის მხრივ, ბრწყინვალე აღდგომის მოძრავი თარიღის მიხედვით გამოითვლება. ასე რომ, პეტრეპავლობის მარხვის ხანგრძლივობა აღდგომის თარიღზეა დამოკიდებული. ის ყველაზე დიდი ექვსი კვირა გასტანს, ხოლო ყველაზე მცირე - 7 დღე.

ანტიოქიის პატრიარქი თეოდორე ბალსამონი (XII ს.) მიუთითებს: „პეტრეპავლობის დღესასწულამდე შვიდი და უფრო მეტი დღით ადრე ყოველი ქრისტიანი, ერისკაცნიცა და მონაზვნებიც, ვალდებულნი არიან, იმარხულონ, თორემ განყენებულნი იქნებიან კრებულიდან“.

ცნობილია, რომ ეს მარხვა სულთმოფენობის შემდგომ ესპანეთის 517 წლისა და ტრულის 582 წლის II საეკლესიო კრებაზე განაწესეს. წყაროებიდან ჩანს, რომ პეტრეპავლობის მარხვა თავდაპირველად მხოლოდ ერთი კვირა გრძელდებოდა. მერე კი, როდესაც მთელ მსოფლიოში ერთსა და იმავე დღეს დაიწყეს მოციქულების პეტრესა და პავლეს ხსენება, მარხვის ხანგრძლივობაც გაიზარდა - დადგინდა, მათი ხსენების დღემდე, ე.ი. 12 ივლისამდე ემარხულათ. კანონები მოციქულთა მარხვის შესახებ დაცულია იოანე მმარხველთან (VI ს.), საბა იერუსალიმელისა და სტუდიელთა მონასტრის ტიპიკონებში. ამ მარხვას თავიანთ ეპისტოლეებში იხსენიებენ პატრიარქი ნიკიფორე და თეოდორე ბალსამონიც.

პეტრეპავლობის მარხვა დიდმარხვასა და ვნების შვიდეულთან შედარებით მსუბუქი მარხვაა.

საქართველოს ეკლესიაში მარხვის შენახვის წესს აკურთხებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ან ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი (როგორც წესი, ეს მარხვა თევზით ხსნილია, მაგრამ ამისთვის კურთხევას უმაღლესი საეკლესიო პირნი იძლევიან).

მორწმუნე, რომელსაც სურს, სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო შეიმსუბუქოს მარხვა, კურთხევას იღებს მმართველი ეპისკოპოსისგან ან სულიერი მოძღვრისგან. ამით თავიდან ავიცილებთ ყოველგვარ გაუგებრობასა და გართულებებს, თვითნებურ მარხვას რომ მოსდევს ხოლმე თან.

ჩვენი ფაქრები

საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესია

პეტრე-პავლეს ეკლესია მდებარეობს ქ. საგარეჯოს ჩრდილო-დასავლეთით მდ. თვალთხევის მარჯვენა სანაპიროდან დაახლოებით 300-400 მეტრის დაშორებით. ქალაქის რომელი მხრიდანაც არ უნდა გაიხედოთ, იგი ყველა მხრიდან ჩანს. პეტრე – პავლეს ეკლესიას ჩრდილო-დასავლეთით აკრავს ტყით შემოსილი მაღალი მთა, რომელსაც „კოცნამეულს“ უწოდებენ. ამოსავლეთიდან და სამხრეთიდან ეკვრის ბაღ-ვენახებში ჩაფლული საცხოვრებელი უბნები. პეტრე – პავლედან ულამაზეს პანორამად იშლება საგარეჯოს ყოველი კუთხე-კუნჭული. ეკლესიის ისტორიის შესახებ ძუნწი ცნობები მოგვეპოვება. იგი აშენებულა „ნადარბაზევზე“. მისი მშენებლობის დროს აქ მჭიდრო დასახლება ყოფილა, შემდეგ კი მოსახლეობა დაბლა, ვაკე ადგილზე მდ. თვალთხევის სანაპიროზე დასახლებულა. ამჟამად ეკლესიის შემოგარენის გარკვეულ ტერიტორიაზე სასაფლაო. დადგენილია, რომ იგი ააშენა 1710-1712 წლებში დავით-გარეჯის მონასტრების წინამძღვარმა, ცნობილმა საეკლესიო მოღვაწე ონოფრე მაჭუტაძემ (1690-1736 წწ.) მისი პირადი ბიოგრაფიის შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. ლევან ბატონიშვილის ერთი საბუთით ვარკვევთ, რომ საერო ცხოვრებაში მას ოთარი ერქვა. 1690 წლის მარტის საეკლესიო კრების დადგენილებით ოთარი ონოფრედ მოუნათლავთ, გაუმწესებიათ გარეჯის მონასტრების წინამძღვრად. გარდაცვალების თარიღად მიღებულია 1733 წ. (თ. ჟორდანია, „ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები“, გვ. 60) დაკრძალვის ადგილი დაუდგენელია. ხანდაზმული ადამიანები მიუთითებენ მის საფლავს პეტრე – პავლეს ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე ერთ ქვაზე, რომელსაც წარწერა ჰქონია ნუსხა-ხუცურით. დროთა ვითარებას წაუშლია და ამჟამად მხოლოდ სუსტად შესამჩნევი ორნამენტიღა ამშვენებს. გადმოცემის საფუძვლიანობას ამტკიცებს ისიც, რომ გარდაცვალების წლებში გარეჯის მონასტრები დიდ თავდასხმებს და აწიოკებას განიცდიდა. სავარაუდოა, სწორედ ამიტომ გაატარა მაჭუტაძემ აქ სიცოცხლის ბოლო წლები, აქვე გარდაიცვალა და დაიკრძალა. ქვეყანაში არსებული ძნელბედობის გამო მისი ნეშტის გადასვენება დავით-გარეჯის უდაბნოში ვერ მოხერხდა. ონოფრე მაჭუტაძე თავისი დროის დიდად განსწავლული და მოაზროვნე პიროვნება ყოფილა. როგორც ვიცით, XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მეტად გავრცელდა ტყვის სყიდვა. გარეჯის მონასტერი ონოფრე მაჭუტაძის უშუალო ხელმძღვანელობით ჩაება ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხშირად, შესაძლებლობების ფარგლებში საკუთარი თანხებითაც კი იხსნიდა ტყვეებს და ასახლებდა მონასტრის მიწებზე (ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება“, II გამოცემა, ზ. ჭიჭინაძის, თბ. 1913წ. გვ. 103). წინამძღვრობისას მას დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოუჩენია, აღუდგენია დანგრეული მონასტრები, ბევრი ახალი ნაგებობა აუგია. მან თავისი წინამძღვრობის პირველ წლებში დაიბრუნა დავით გარეჯის მონასტრების ყოფილი ყმა-მამულები. საგარეჯოს მამულები მას დიდ შემოსავალს აძლევდა, რომლის ნაწილიც მოახმარა სოფ. თვალზე (დღ. საგარეჯო) თავისი მრევლისათვის ეკლესიის მშენებლობას. ერთ გუჯარში, რომელიც 1712 წლითაა დათარიღებული, ჩამოთვლილია ის ღვაწლი, რომელიც ო. მაჭუტაძეს გაუკეთებია: „აღვაშენე თვალზე საყდარი პეტრე-პავლესი და შევამკე პატიოსანის ჯვრითა, სიწმინდის იარაღითა, შესამოსითა და წიგნებითა“ (თ. ჟორდანია,) ეკლესია ნაკურთხია წმინდა მოციქულების პეტრეს და პავლეს სახელზე. ეკლესიის მშენებლობის დროს ბერძენ ხუროთმოძღვრებთან ერთად ონოფრე მაჭუტაძეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოუყვანია ქვისმთლელები, ჩუქურთმის მომჭრელი ოსტატები, ხუროები, მხატვრები. მათი მეშვეობით მოუხატია და სამონასტრო ინვენტარით შეუმკია ახლად აშენებული ეკლესია. პეტრე – პავლე დარბაზული ტიპის, თაღოვანი ნაგებობაა, რომლის კუთხეები, კარნიზი და კარ-სარკმლის კუთხეები ნაგებია ნათალი ქვით, კედლები ძირითადად აშენებულია რიყის ქვით. მისი შიდა ფართობი უდრის 180მ2-ს, გარეთა ფართობი კი კედლებიანად 200მ2-ს. ეკლესია თავდაპირველად გადახურული იყო ლომფიერის ქვით, მისი ნაშთები დღესაც შემორჩენილია ეკლესიის ტერიტორიაზე. ამჟამად ეკლესიას თუნუქის სახურავი აქვს. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრეთით და დასავლეთით. დასავლეთითკარები კედლის ცენტრში მდებარეობს. იგი თაღოვანია და შემკულია ძვირფასი ჩუქურთმით. სამხრეთის კარი კედლის დასავლეთითაა და სწორკუთხაა. მასაც გარშემო ჩუქურთმა ამკობს. მის მაღლა, სავარაუდოა წმინდანებისა და ანგელოზების გამოსახულებების არსებობა. მის ქვემოთ ვაზის რელიეფური გამოსახულებაა მოთავსებული. 1886 წელს ეკლესია მოუნახულებია ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, საგარეჯოში პირველი სკოლის დამაარსებელს ალ. ცხვედაძეს, რომელსაც თავისი მოწაფეების საშუალებით დეტალურად აღუწერია ეკლესიის მაშინდელი მდგომარეობა. ამ ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ სამხრეთით არსებულ შესასვლელზე გამოსახული ყოფილა ქტიტორის პორტრეტი, რომელიც დღესაც არსებობს. ეკლესიის ინტერიერი მარტივადაა შესრულებული. დარბაზის გრძელ კედლებზე 3 წყვილი მარტივი პილასტრაა, რომელიც ასევე მარტივი ორნამენტით შემკული კაპიტელებით მთავრდება. პილასტრებს ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის სამჯერი თაღი, კამარები ნაშენია აგურით. პილასტრებს შორის დატანებულია ორი წყვილი სარკმელი. სარკმლები დატანებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებშიც. პილასტრების აყოლებით სარკმლებს მაღლა იკვრება თაღები, რომლებიც ეკლესიის მთლიან არქიტექტურაში ერთადერთი სპარსული ელემენტია. ეკლესიის იატაკი სუფთა, ოთკუთხა აგურითაა მოპირკეთებული. დასავლეთის კედელში ჩატანებულია ორი თაღოვანი თახჩა, რომელიც, ალბათ, წიგნების შესანახად იყო გამიზნული. ეკლესიის აღმოსავლეთით, როგორც წესი, მოთავსებულია საკურთხეველი. ამჟამად ეკლესიას კანკელი არ გააჩნია და საკურთხეველი მხოლოდ ამაღლებული ადგილით გამოიყოფა. საკურთხეველშიც ჩატანებულია თაღჩები საღვთისმეტყველო ინვენტარის შესანახად. ამჟამად ეკლესიას არანაირი მოხატულობა არ გააჩნია, მაგრამ შესაძლოა ადრე იყო. პეტრე-პავლეს ეკლესიის ჩრდილოეთით 9 მ-ის დაშორებით შემორჩენილი აქვს ნანგრევი კედლები. მისი ინტერიერი გვაფიქრებინებს, რომ აქ აშენებული იყო დამხმარე ნაგებობები: საცხოვრებელი სახლი ბერებისათვის და მამულების მმართველი მოურავისთვის, მარანი, სადაც ღვინოს ინახავდნენ. ონოფრე მაჭუტაძე აქ ხშირად ამოდიოდა სამეურნეო თუ პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად. მარანში ჩაყრილი იყო ქვევრები 9 საპალნე ღვინისათვის. აქედან, 4 საპალნე ადგილზევე უნდა დალეულიყო, 1 გარეჯის უდაბნოში ბერებისათვის უნდა გაგზავნილიყო, დანარჩენი გაყიდულიყო და აღებული ფული ბერების საჭმლის შეძენას და სამსახურს უნდა მოხმარებოდა. დღეისათვის მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი, რომლის მიხედვით იგი შესაძლოა 18 მ. სიგრძის და 8 მ. სიგანის იყო. შეინიშნება ქვევრების განლაგებაც, რომელიც მოპარულია. შენობა შუაზე ქვითკირის კედლით იყოფოდა, აღმოსავლეთ ნაწილში მარანი იყო, დასავლეთში – სასტუმრო. ონოფრე მაჭუტაძემ გარდა იმისა, რომ სამეურნეო ცხოვრება ააღორძინა უდაბნოში, არც კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეები დარჩენია უყურადღებოდ. მან თავის გარშემო შემოიკრიბა კულტურის მოღვაწეები, რომელთა დახმარებით გარეჯის უდაბნოში შესანიშნავი წიგნთსაცავი შექმნა ძველქართულ-ბიბლიური, ფილოსოფიური, აგიოგრაფიული თუ საინტერესო ხელნაწერებითა და სტამბური წესით დაბეჭდილი საღვთისმსახურო წიგნებით, ლიტერატურა განკუთვნილი იყო უდაბნოს მონასტრის ბერებისათვის, გარეთ გატანა არ შეიძლებოდა. გამონაკლისი ნებადართული იყო სოფ. თვალზე პეტრე-პავლეს საყდარში, რომელიც თვით დავით-გარეჯას საკუთრებას წარმოადგენდა. თუ როდემდე იარსება პეტრე-პავლესთან ამ წიგნთსაცავმა არც წყაროებში ჩანს, არც მოსახლეობას ახსოვს. პეტრე-პავლეს ეკლესია სპეციალურად, შესწავლის მიზნით 1929 წ. ინახულა ხელოვნებათმცოდნეობის უდიდესმა სპეციალისტმა პროფ. მ. ჩუბინაშვილმა და ეკლესიის მაშინდელი მდგომარეობა ვრცლად ასახა თავის გამოკვლევაში „დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები“. მაშინდელი აღწერით ეკლესია კარგ მდგომარეობაში იყო, თუმცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს ბზარი თანდათან მატულობდა. შემდეგ კი ეკლესიის დანგრევის საშიშროებაც კი შეიქმნა. სახურავზე უამრავი მცენარე (მათ შორის ბუჩქები, ხეები) ამოვიდა, შიგნით წვიმა ჩადიოდა. 1976 წ. ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა, გადაიხურა მოთუთიავებული სახურავით.

ალ. ელერდაშვილი,
ისტორიკოსი

p.s. ეკლესიაში დღეს წირვა-ლოცვა აღევლინება (მოძღვარი ***მღვდელი*** **ლაზარე ბუჩუკური)**

ივნისი ჩვენს მუნიციპალიტეტში

„გოგლაობა“-2017

სოფელ პატარძეულში, 17 ივნისს სახალხო დღესასწაული „გოგლაობა“ გაიმართა.

ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად „გოგლაობაში“ ლეონიძეების ოჯახის წევრები, მისი ახლობლები, მსახიობები, მწერალთა კავშირისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას.

ღონისძიების ფარგლებში სოფ. პატარძეულის ფრანგულ-ქართული სკოლა ლიცეუმისა და გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმის ერთობლივი ძალებით ექსპოზიცია „სულ ვეხსომები ლევანი“ -ფოტოების გამოფენა მოეწყო.

ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით ჩატარდა კონცერტი, რომელიც ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „გარეჯის“ მიერ შესრულებული „მრავალჟამიერით“ საზეიმოდ გაიხსნა.

დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ პოეტები და მწერლები, ასევე გიორგი ლეონიძის ოჯახის წევრები, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს და გააჟღერეს გოგლას შემოქმედება, მათ შთამბეჭდავად წაიკითხეს მისი უკვდავი ლექსები. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობა მიიღო საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობმა ნათელა დიღმელაშვილმა, რომელმაც გოგლას პერსონაჟი „ნატვრის ხე“-დან ფუფალა გააცოცხლა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, 2016 წელს „გოგლაობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით დაარსებული ლიტერატურული კონკურსის “ნატვრის ხის” გამარჯვებულებს ***მუნიციპალიტეტის გამგეებელმა*** **ბიორგი გზირიშვილმა** ფულადი ჯილდო და დიპლომები გადასცა.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის, საქართველოს პარლამენტის წევრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან ბიუროს,კულტურის ობიექტების გაერთიანებისა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები.

ღონისძიების ორგანიზატორი საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება იყო, რომელსაც მხარი მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაუჭირა.

გაიხსენეს რეზო ინანიშვილი

2017 წლის 10 ივნისს, რეზო ინანიშვილის ლიტერატურული საზოგადოების ორგანიზებით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობისა და კულტურის ობიექტების გაერთიანების მხარდაჭერით, დიდი ქართველი მწერლის რეზო ინანიშვილის ხსოვნის საღამო მისსავე მშობლიურ სოფელ ხაშმში აღინიშნა. მწერლისადმი მიძღვნილი - „რევაზ ინანიშვილის დღე“, რომელიც 2016 წელს დაწესდა, წელს უკვე მეორედ აღინიშნა. ამ დღეს აქ მწერლის მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა, პოეტებმა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი.

სოფ. ხაშმის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში რეზო ინანიშვილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გაიმართა. ხოლო შემდეგ სოფლის ადმინისტრაციული შენობის დარბაზში მწერლის შემოქმედებითი საღამო მოეწყო, სადაც სტუმრებთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, კულტურის ობიექტების გაერთიანებისა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები და ადგილობრივი მაცხოვრებლები იმყოფებოდნენ.

მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს მისმა მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა და პოეტებმა, რომლებმაც თავიანთ გამოსვლებში თბილი სიტყვები არ დაიშურეს მისი მისამართით. ღონისძიების წამყვანი იყო გიორგი ფარეშიშვილი .

მწერლის მეუღლემ როზა ინანიშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას რეზო ინანიშვილის ხსოვნის პატივისცემისა და მობრძანებისთვის.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივები: ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „გარეჯი“, „პატარა გარეჯელები“ და სტუდია „მირელა“, ასევე მონაწილეობას იღებდნენ საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრის მსახიობები: ანანო ქვლივიძე, მიშა ხოკერაშვილი და პაატა ქვლივიძე, რომელებმაც წაიკითხეს ნაწყვეტები რეზო ინანიშვილის უკვდავი მოთხრობებიდან.

სოფელ ხაშმში ყოველწლიურად 10 ივნისს მწერლის ხსოვნის უკვდავსაყოფად გაიმართება ღონისძიებები, რომელიც ტრადიციულ ხასიათს მიიღებს.

ბიბლიოთეკას ახალი წიგნები შეემატება

ამ დღეებში საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტის საფუძველზე 66 რეგიონულ ბიბლიოთეკას 450-ლარიანი ვაუჩერები გადაეცათ. მათ შორის საგარეჯოს ცენტრალურ ბიბლიოთეკასაც.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერი ლიანა გოდერძიშვილი იმყოფებოდა, რომელსაც პროექტის ფარგლებში საჩუქრად 450-ლარიანი ვაუჩერი გადასცეს. ვაუჩერის გამოყენებით შესაძლებელი იქნება ჩვენი ბიბლიოთეკისთვის სასურველი და საჭირო ლიტერატურის შეძენა.

ნინო გვაგვალია,

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების“ პრესსამსახური

ქართული სიტყვის მეჩუქურთმენი

ჩვენებურები

გოგლა ლეონიძე

დავით-გარეჯა

გადარუჯული დავით-გარეჯა...
ამწვარ ტრამალზე ბზინავს ავშანი...
ამ ველს, ამ სივრცეს ვინც უდარაჯა,
ვინც შეიმსხვრია მკერდზე ჯავშანი,

ვინ მოიგონოს, სადღა არიან,
ვინ გაიხსენოს მათი სახელი?
არც მოჩვენება, არც სიზმარია,
ჩონჩხებით სავსე ჩანს საწნახელი...

გაჰქრნენ ქარივით და სიზმარივით,
მათზე მგლოვარეც დალპა თავშალი...
და მხოლოდ ტბაზე შერჩა მარილი...
ბალღამიანი ბზინავს ავშანი...

გადარუჯული დავით-გარეჯა...
თუ მწარე წარსულს ასე ენება,
დღეს დახსნილია ნესტან-დარეჯან,
ძვირად დაგვიჯდა მისი შვენება!
წინაპართ შვილნი ვიღწვით და ვშრომობთ
დიდ სიყვარულის ასაშენებლად...
მისთვის მივიბრძვით, ვიღწვით და ვომობთ
და ჩვენი ღონეც მას შეელევა!..

ნინოწმინდის ღამე

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...
გალავანში ჯამი აქაფებული,
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ ვეფხვი დაქალებული...

საზანდარმა ღამე ააცახცახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა-ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...

ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ დამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!

როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!
მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;

ძუძუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...
წინანდალის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,

აფრენილი ბაზიერის დაფითა,
დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული!
ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ დამეს როგორ აგვაბრიალა

საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!

ნინო ჭავჭავაძეს

თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება...
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება!

შენც ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც
და გაჟრჟოლება მათი გულისა,
თავშესაფარი რამდენ ოცნების,
იყავ ბანაკი გაზაფხულისა!

შენს სილამაზის იქით – ბნელდება,
დაიხურება ცისკრის კარედი;
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი.

ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ,
ათას წელს გასძლებს შენი მშვენება;
შენ, სილამაზის ნაზო გრიგალო,
შენგან არასდროს მომესვენება.

პატარძეული

პატარძეული... ჩემი სოფელი,
ბავშვობის კერა – პატარძეული,
ჩემი აკვანი წნორის ტოტისა
იქა ყოფილა გადარწეული.

იქ მზრდიდა ხალხი... იქ მზრდიდა დედა
და ხალხის ფიქრი ათასწლეული...
მახსოვს ეზოში დიდი ფშატის ხე,
სიბერისაგან გადაქცეული...

იმ ხის ფესვებში მელანდებოდა
ხალხის მზის ოქრო და განძეული...
ჩემს მზეს ბორბლები არ დამტვრევია,
ჯერ შუადღე მაქვს არ-დალეული...

მე მინახია ბევრი ქვეყნები
და ქალაქები ათასეული,
მაგრამ სუყველგან მე ხელს მიქნევდა
ჩემი პატარა პატარძეული.

რამ ააყვავა შენი მშვენება?

სისხლი... სულ სისხლი...
ჩვენი წარსული
სისხლში დამბალი მარად ყოფილა!
თურქი, არაბი, სპარსი, ასური,
თუ ისტორიამ არ გამყოფინა,
მშვენიერებით როგორდა ჰშვენი,
ამდენ მოთხრის და გასრესის მერე?
მითხარ, სამშობლოვ, პასუხი შენი,
სილამაზით რომ ამკობდი ხმელეთს!
რამ ააყვავა შენი მშვენება,
ოქროს წვიმამ თუ სისხლის ავდარმა?
რამ გაგაჩინა მოსაჩვენებლად,
ჯოჯოხეთმა თუ სამოთხის დარმა?
ძმურმა სიმღერამ თუ ხმლის წივილმა?
მაშ, ეს ბუნება როგორ ავწონოთ?
ეს სილამაზე შექმნა ტკივილმა,
ბრძოლამ დაბადა უთანასწორომ!
ბრძოლაში შობილ მშვენიერების
შარავანდედით ხარ შემკობილი,
მისთვის ბრწყინვალეს უთვლელ ფერებით
და მისთვისვე ხარ კეთილშობილი.

იორის ღამე

მთვარე შრიალებს ფიჭვივით
დაუსრულებელ ოხვრაში,
ამოდის კოხტა ბიჭივით
ცისკარი ახალ ჩოხაში.

ეს მთვარე ვიღამ შეკერა,
ვინ არის მისი მკერავი?
ეს გული ვიღამ დასხლიტა,
ბურთივით გაუოქერავი?

შენ დამარწიე, იორო,
მაჩქეფე თავზე მირონი;

დალაგდნენ ლექსის ჯიქნებად
ეგ შენი სანაპირონი

შენი ჩანჩქრები, საწური
აბრეშუმისა ბადითა,
შენს ვენახებში სუფრები
ჩონგურითა და მწვადითა;

შენი ბდღვრიალა კალმახი,
აცვია თითქოს ჩითები;
დილა, რომელსაც ნისკარტით
ეზიდებიან ჩიტები...

და უწმინდესი ტაძარი,
არხზე წისქვილი პატარა;
შენმა ტინებმა სიმაგრე
ლექსებში გამომატანა!

შენი ფშანების ნაჟური
ლექსში სჩქეფს, როგორც მაჭარი,
თუ ამოგხაპეს, გაგყიდეს,
გავხდები შენი ვაჭარი!

მთვარე შრიალებს ფიჭვივით,
დაუსრულებელ ოხვრაში;
ამოდის კოხტა ბიჭივით
ცისკარი ახალ ჩოხაში...

მთვარე გომბორზე წაიქცა,
რძით გავსებული ტაგანი...
იორზე ვმღერი წნორებთან,
ერთი იმ წნორებთაგანი!

რეზო ინანიშვილი

ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები

პროზანისს ომში დამარცხებულმა ერეკლე მეფემ, რამდენიმე თანმხლებთან ერთად, არაგვის ხეობას შეაფარა თავი. დღესაც არავინ იცის, სად იმყოფებოდა სამ დღეს, მეოთხე დღეს კი ანანურის ციხეში გამოჩნდა. ეს გამოჩენაც იდუმალებით იყო მოცული. მხოლოდ ციხის ბურჯებზე უმატეს გუშაგებს, მალიმალ მიმოქროდნენ თავდაღუნული მდუმარე მხედრები, სოფლებში ჩურჩულითა და ვიშვიშით გადადიოდა ხან ერთი ამბავი, ხან მეორე, დედაკაცები მუხლებში იცემდნენ ხელებს, მხრებაცახცახებულნი თვალებზე იფარებდნენ მოსახვევის ბოლოებს.

ნაშუადღევს რაღაც ჩოჩქოლი ატყდა ციხის ეზოში. მეციხოვნეებს ვიღაც ცამეტ-ოოთხმეტი წლის ბიჭი შეეპეროთ, კარისკენ ეწეოდნენ, მაგრამ ბიჭი არ ნებდებოდა, წიხლებს ისროდა, იკბინებოდა და ყვიროდა:

– მეფესთან მიმიშვით, დიდი საქმე მაქვს, მეფესთან მიმიშვით!

მეციხოვნეები პირზე ხელს აფარებდნენ, წააქციეს, ზოგი ფეხებში ჩაეჭიდა, ზოგი ხელებში, ასწიეს, ასე წაიღეს. ბიჭი მაინც იბრძოდა და ყვიროდა:

– დიდო მეფეო! დიდო მეფეო!

ამ ჩოჩქოლსა და აურზაურში კოჭლობით, მაგრამ ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ციხისთავი. მარცხენა ხელი კისერზე ჰქონდა დაკიდებული ქალის მანდილით. მეციხოვნეებმა რომ დაინახეს, გაჩერდნენ, ბიჭი ძირს დასწიეს, ხელი მაინც არ გაუშვიათ.

– რა ამბავია, რა მოხდა? – იკითხა ციხისთავმა.

– მეფესთან მიმიშვითო, დილას აქეთია, აფთარივით უვლის ციხეს. გავაგდეთ, ვცემეთ, მაინც გადმობობღდა გალავანზე, – მიუგო ერთმა მეციხოვნემ.

მიწაზე გულადმა გაკავებულმა ბიჭმა ამოიბრძოლა, თავი ვერ გაითავისუფლა და დაბლიდან ამოიმუდარა:

– მიმიშვით, თქვენი ჭირიმე, დიდი საქმე მაქვს, ქვეყნისთვის საჭირო საქმე.

ციხისთავმა ვერაფერი თქვა, თვალი კოშკისკენ გაექცა. იქიდან თითქოს ვიღაცამ რაღაც ნიშანი მისცა, ციხისთავმა თავი დაუქნია და მეციხოვნეებს უბრძანა:

– გაუშვით ხელი!

მეციხოვნეებმა ბიჭს ხელი გაუშვეს. ბიჭი წამოდგა, შარვალი მიიწ-მოიწია, მტვერი ჩაიბერტყა. ერთმა მეციხოვნემ დაძენძილი ნაბდის ქუდი მიაწოდა.

– სადაური ხარ? – ჰკითხა ციხისთავმა.

– აქაური.

– რომლისა.

– მზევარისა.

– რა გინდა მეფესთან?

– პირადად უნდა მოვახსენო.

– გაჩხრიკეთ.

მეციხოვნეები ეცნენ და ჩხრეკა დაუწყეს. ბიჭი ხელებაწეული იდგა და მოთმინებით იცდიდა.

მარტო ხელისგულისოდენა ქერის ხმიადის ნატეხი და ნივრის ორი კბილი ამოუღეს ჯიბიდან. ისიც მაშინვე დაუბრუნეს.

– წამომყევი.

ბიჭმა ერთხელაც გაისწორა დაძენძილი შარვალი და ციხისთავს გაჰყვა. დაბალი იყო, განიერი, როგორღაც გან-განზე მიჰქონდა მძიმე, დაშაშრული შიშველი ფეხები. გაიარეს გრილი კედლებით შემოზღუდული ლაბირინთი, ავიდნენ კიბეებზე და ერთ კარს მიადგნენ. იმ კარს აქეთ-იქიდან თოფიანი მცველები ედგნენ. ციხისთავმა ბიჭი აქ დატოვა და თვითონ შიგნით შევიდა. გაღებულ კარში ბიჭმა დიდებული იერის მოხუცი დაინახა, გუმანმა უთხრა, მეფე ეს უნდა ყოფილიყო. გაიწია, მაგრამ მცველებმა არ გაუშვეს, თოფები გადაუღობეს.

– გამოატარეთ! – მოისმა ციხისთავის ხმა.

ბიჭი კარში შევიდა. ციხისთავმა მხარზე ხელი მოსდო, ცოტაზე ასე წაჰყვა და მერე გვერდზე გადგა.

რაღაცისათვის ტახტისკენ დახრილი მოხუცი მეფე ბიჭისკენ შემობრუნდა, ნელ-ნელა აიწია, გასწორდა, ბიჭმა სახეში შეხედა, ფეხი აერია, ჩაიჩოქა და ასე, მუხლებზე ჩაჩოქილი, აცრემლებული წავიდა მეფისკენ. მეფე შეწუხდა, თვითონ წამოვიდა ბიჭისკენ, მხრებში ხელები მოჰკიდა, წამოაყენა. ბიჭი ცდილობდა, მაგრამ ტირილი ვერ შეეკავებინა. მეფემაც რამდენჯერმე უმწეოდ დაახამხამა თვალები, მაგრამ ეს თვალები მიჩვეულნი იყვნენ მსგავს სანახაობებს და სწრაფადვე დაიბრუნეს სიმტკიცე.

– დამშვიდდი, ნურაფრისა გეშინია, შვილო, – თქვა მეფემ წყნარი, ბზარგარეული ხმით.

– მე არაფრისა მეშინია, მეფევ.

– აბა, რა გიჭირს, რამ შეგაწუხა, შვილო?

– თათრები არ უნდა მოგვრეოდნენ, დიდო მეფევ, თათრები ჩვენი მომრევები არ არიან!

მოხუცმა მეფემ შუბლზე ხელის ზურგი აისვა, თითქოს ჩამოწეწილი თმა აიწია მაღლა.

– მდიდრები გღალატობენ, მეფევ! – ბიჭმა ღონივრად შეკუმშული ხორკლიანი მჯიღი ნიკაპთან მიიტანა, – მდიდრებს რატომ ენდობი, დიდო მეფევ! მდიდარი ლამაზია, მდიდარს შინ ქონება რჩება, ძვიფასი რამეები რჩება. გაჭირვებაში მტერსაც მისცემს და თვითონაც ეყოფა. მდიდარი ბრძოლაში თავს რად დასდებს! ომში ჩვენ უნდა წაგვიყვანო, ობლები, უქონლები, ულამაზოები, გაჭირვებაში გამოჩეჩქვილები. ქვეყნის იმედით ჩვენა ვცხოვრობთ. ჩვენ, ვინ რას უნდა მოვუფრთხილდეთ! აბა, შემომხედე, სხვებიც ჩემნაირები არიან, ქვიდან გამოტეხილი ქაჯები და ეშმაკები! ჩვენ ჭრილობები ვერ დაგვამახინჯებს, პირიქით, მოგვიხდება კიდეც. გაგვიძეხი, მეფევ, ჩვენ გაგვიძეხი! ასამდე ობოლს, ქვრივ-ოხრის შვილს, კომბლიანებს, მე გამოვიყვან მარტო! გაგვიძეხი, მეფევ, და შენი თვალით ნახავ, ჩვენი მომრევი არავინ არის ქვეყანაზე. შვიდი კომბლიანი აქვე მიცდის, ციხის ძირში.

მეფემ ერთხელ კიდევ აისვა შუბლზე ხელი და ტახტზე დაჯდა. ბიჭისთვის თვალი არ მოუშორებია, ხელი ახლა მუხლზე ედო, მოიჭერდა მუხლზე და გაშლიდა, მოიჭერდა და გაშლიდა...

– შეგიძლია, ისინიც მოიყვანო?

– კომბლებიანად?

– კომბლებიანად.

– ეხლავე.

ბიჭი მიბრუნდა და ჯიქური ნაბიჯით წავიდა, მაგრამ უცებ შედგა და აბნეულმა მიმოიხედა. თურმე კარს ასცდენოდა. ბედად ციხისთავმა მოუსწრო, – აქეთ, მზევარის ბიჭოო, – და წინ წაუძღვა.

*

არ გასულა ნახევარი საათი და, ციხისთავი და მზევარის ბიჭი კუშტად გამომზირალ, აჯაგრულ, აფხორილ კომბლებიან ბიჭებს შემოუძღვნენ დარბაზში. ახლა მზევარის ბიჭსაც გატუსული, ბევრი ხმარებისაგან გაპრიალებული, ვეებათავიანი შვინდის კომბალი ეჭირა. ციხისთავმა ამჯერადაც გვერდზე გაიწია და ბიჭებს ანიშნა, აქ გაჩერდითო. ბიჭები შეჯგუფდნენ, ერთმანეთისკენ მიიწიეს, ერთმანეთის ზურგებს ამოეფარნენ და კომბლები მორიდებით ჩაიყუდეს შიშველ, გაუხეშებულ ფეხებს შორის.

მეფე წამოვიდა, ნელი ნაბიჯით მოახლოვდა და მზევარის ბიჭს დიმილით ჰკითხა:

– ესენი არიან შენი ულამაზოები?

– ესენი, დიდო მეფევ. ამ კომბლებით, ვისაც გინდათ, იმას გაუმკლავდებიან.

ბიჭები უარესად დაიკოხნენ, შეტოკდნენ და ქვეშ-ქვეშ გამოიხედეს მეფისკენ. მეფემ ყველა ბიჭს ხელი ჩამოართვა, ცოტა უკან დაიწია, უყურა, უყურა და გულში გამდნარ ტკვიასავით ჩაეღვენთა: „საცოდავი ქვეყნის საცოდავი შვილები...“ ხმამაღლა კი ეს თქვა მშვიდად, დაყვავებით:

– სულ მალე დაგიძახებთ, ბიჭებო. მაჰმადიანს ერთიანად უნდა ვაზღვევინოთ ჩვენი სისხლი. ახლა მდივანი ჩაგწერთ და თქვენ-თქვენს სახლებში წადით. როცა საჭირო იქნება, დაგიძახებთ, როცა დრო დადგება, მაშინვე დაგიძახებთ.

– ოღონდ, მდიდრების გვერდით არ დავდგებით! – წამოიძახა მზევარის ბიჭმა.

– არა, თქვენი რაზმი ცალკე იდგება! – მეფემ ხელი მაღლა ასწია.

ციხისთავი წინ წამოვიდა და ბიჭებს ანიშნა, წასვლის დროაო. მზევარის ბიჭმა მისი მკლავის ზემოდან ერთხელ კიდევ დაუძახა მეფეს:

– ჩვენ-ჩვენი კომბლებით უნდა წამოვიდეთ.

– თქვენ-თქვენი კომბლებით, რა თქმა უნდა, – მიუგო მეფემ.

*

გაიარეს გადახრილი მზით განათებული ციხის ეზო, გვერდზე გაიყოლეს გრძელ-გრძელი ჩრდილები და მერე ნელ-ნელა ჩავიდნენ ბნელ ლაბირინთში, თითქოს სამუდამოდ ჩაეფარნენ მიწას.

ოთხმოცი წლის შემდეგ კი ანანურზე გამავალი სამხედრო გზის პირას ხშირად იდგა ხოლმე ვეებათავიან კომბალზე დაყრდნობილი მთლად გადათეთრებული უსინათლო მოხუცი, რომელიც ყოველ ზემოთამვლელს ეკითხებოდა, დამძახებელი ხომ არა ხარ ქალაქიდანო. ვინც მოხუცს არ იცნობდა, ვერ ხვდებოდა, ვინ დამძახებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინც იცნობდა, ეტყოდა, – არა, დამძახებელი არა ვარ, მზევარის ბიჭოო, – და თავჩაღუნული, სევდაშემოწოლილი განაგრძობდა გზას.

მოხუცს ქინთა-ქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი რუსული ძველი მედალი ეკიდა – გამურულ ქვაზე დაღვენთილი წმინდა სანთლის ფერისა.

სპორტი

კრივი

თელავის რინგზე

10-11 ივნისს თელავში ჩატარდა თელაველი მწვრთნელების ხსოვნისადმი მიძღვნილი საქალაქთაშორისო ტურნირი კრივში 2000-2001-2002 წლებში და შემდეგ წლებში დაბადებულ მოკრივეთა შორის. ტურნირში სხვა ქალაქების მოკრივეებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ კრივის სექციის აღნიშნულ წლებში დაბადებული სპორტსმენები. ერთი პირველი და სამი II ადგილი, ასეთია მწვრთნელ ზურაბ იმნაძის აღსაზრდელთა შედეგი თელავის რინგზე.

ტურნირის ჩემპიონი საგარეჯოელ მოკრივეთაგან გახდა 60 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ნიკოლოზ კუჭუაშვილი,** რომელმაც ფინალში დაამარცხა თანაგუნდელი, თავისზე ორი წლით უმცროსი სერგი დოღონაძე (2002წ).

ტურნირზე ასევე **მეორე საპრიზო ადგილზე** გავიდა 2001 წელს დაბადებული **გუგა დოღონაძე** (48კგ). **ვერცხლის მესამე პრიზიორი** გახდა **დავით პასიკაშვილი**, რომელიც 30 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.

საერთაშორისო ტურნირი

ლეგენდარული სპორტსმენების სახელობის ჯილდოები

თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ტურნირი მიზნად ისახავდა მსოფლიო პირველობაზე წარსადგენ კანდიდატების გამოვლენას. ასპარეზობაში ჩართული იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები და მონაწილეები. დიდებს შორის ტურნირზე საგარეჯოდან 70 კგ. წონით კატეგორიაში მონაწილეობდა **ზურაბ ერბოფონაშვილი**, მსოფლიოს ჩემპიონი 23 წლამდე ასაკში, რომელმაც ოთხი შეხვედრა მოიგო, მხოლოდ ფინალში დამარცხდა ირანელ მოჭიდავესთან და დაიკავა **II ადგილი.**

86 კგ. წონით კატეგორიაში მონაწილეობდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, ასევე მსოფლიოს და ევროპის III პრიზიორი **დავით ხუციშვილი** (ორივეს მწვრთნელები არიან რამაზ ასაბაშვილი და დათო ბაბუნიძე), რომელმაც ამ ტურნირში II საპრიზო ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ტურნირზე დაწესებული იყო ფულადი ჯილდო – პირველ ადგილზე გასულისათვის – 1000 დოლარი, II ადგილზე – 800 დოლარი, III ადგილზე 500 დოლარი.

ტარიელ როსტომაშვილი,
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

თავისუფალი ჭიდაობა

16-18 ივნისს ქ. ქობულეთში ჩატარდა კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობას საგარეჯოს სპორტგაერთიანების თავისუფალი ჭიდაობის სექციის (მწვრთნელები რამაზ ასაბაშვილი, დათო ბაბუნიძე) 9სპორტსმენი მონაწილეობდა.

შედეგები კი ასეთია:

I ადგილი – **დავით კუჭუაშვილი** (73 კგ. წონით კატეგორია); **ფირუზ ძვლივიძე** (53 კგ. წონითი კატეგორია);

II ადგილი – **გიგი ძურხული** (53კგ. წონით კატეგორია), **თორნიკე ასაბაშვილი** (32 კგ. წონით კატეგორია), **თორნიკე თულაშვილი** (47კგ. წონით კატეგორია).

III ადგილი – **ნიკა საგინაშვილი** 26 კგ. წონით კატეგორია), **შალვა გულისაშვილი** (32 კგ).მათ შესაბამისი სინჯის მედლები, თასები და სიგელები გადაეცათ.

დავით გაგუნიძე,
მწვრთნელი

ძიუდო

გოგონებმა თავი ისახელეს

ქ. ასპინძაში, აპინძის თასზე წარმატებით გამოვიდნენ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების ძიუდოისტი გოგონები... მათი წარმატებები კი ასეთია: **I ადგილი**: მარი ხოსიტაშვილი, ლალი ხოსიტაშვილი, ნინო ლოლაძე, მარიამ ლაფაჩიშვილი, ნინო გულბანი, **II ადგილი**: სალომე გულისაშვილი, ანა ასანიშვილი, ვარდიკო ბუჩაშვილი, **III ადგილი**: სალომე არაბული, თამთა სუხიაშვილი, მარი ქისტაური, მარი კოხტაშვილი, მზია ტაკაშვილი, (მწვრთნელი ლუდა ფერაძე).

თბილისში, შოთა ინწკირველის მემორიალზე

6-9 ივნისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის შოთა ინწკირველის მემორიალი 7 და 9 წლამდე ასაკის გოგონათა და ჭაბუკებს შორის. ტურნირში საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების ნანი უნაფქოშვილისა და ელენე ფარეშიშვილის აღსაზრდელი ნინო ესაიაშვილი. ნათამაშევი 7 ტურიდან ჩვენმა მოჭადრაკემ დააგროვა 6 ქულა, რითაც ნახევარი ქულით უკან ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული გორელი მოჭადრაკე თამარ ზღუდაძე და გახდა მემორიალის ჩემპიონი.

ძიუდო

ასპარეზობდნენ გარეჯელი ჭაბუკები

ახმეტაში ჩატარებულ გუგული აბრამიშვილის სახელობის მერვე საერთაშორისო ტურნირში ჭიდაობა ძიუ-დოში 2002-2004 და 2005-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის სხვებთან ერთად აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ამ წლებში დაბადებული ჭაბუკი ძიუდოისტებიც მონაწილეობდნენ. მათგან 2002-2004 წლებში დაბადებულ ასპარეზობაში მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს **თენგო ზირაქაშვილმა** (45 კგ) და **დავით შათირიშვილმა** (66კგ).

2005-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის თავი გამოიჩინეს და ტურნირის ჩემპიონები გახდნენ **შოთა ბაჩოშვილი და დავით კევლიშვილი.** მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი წილად ხვდა **ლუკა კანჯარაშვილს**, ბრინჯაოთი ჩამოვიდნენ ახმეტიდან: **სოსო ჯაფოშვილი, ონისე ბორაშვილი, გიგა ბაძარაშვილი, გიორგი ზუკაკიშვილი, ნიკა თათრიშვილი, გიგი ხოსიტაშვილი და ლევან კევლიშვილი.**

ქართული ჭიდაობა

თავი ისახელეს

15 ივნისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში გაიმართა ცნობილი მოჭიდავის თამაზ ლაზვიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭაბუკებს შორის ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ 2002-2003-2004 წლებში დაბადებული მოჭიდავეები (მწვრთნელები კახა ყორდანაშვილი, მამუკა მათიაშვილი). ჩვენი გაერთიანების აღსაზრდელთაგან აქ 5 მოსწავლე მონაწილეობდა, რომელთაგან 60 კგ წონით კატეგორიაში I ადგილი მოიპოვა **როინ ყორდანაშვილმა. მეორე ადგილზე გავიდა ზაზა შალვაშვილი** (55 კგ. წონით კატეგორია), ხოლო **III ადგილი თენგო მაისაშვილმა** – 40 კგ. წონით კატეგორია). ისინი შესაბამისი ხარისხის მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

თემურ კურდღელაშვილი,
სპორტის ოსტატი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

კვლავ წარმატებებით

16-17-18 ივნისს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. აღნიშნულ შეჯიბრში მონაწილეობდნენ საქართველოს 12 რაიონის ამ სტილის 150 მოჭიდავე.

შეჯიბრში თავი ისახელეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მოჭიდავეებმა.

20 კგ წონით კატეგორიაში ***პირველი*** ადგილი და პრიზი დაიმსახურა **ლუკა თედიაშვილმა.**

26 კგ. წონით კატეგორიაში ***პირველი*** ადგილი დაიკავა **ზეზვა ბაიხოძემ.**

60 კგ. წონით კატეგორიაში გაიმარჯვა **ტარიელ პაატაშვილმა.**

III საპრიზო ადგილები დაიკავეს **რობიზონ ფოცხვერაშვილმა, ლუკა მარტიაშვილმა, შალვა მაჭარაშვილმა და ზურა მახარობლიშვილმა.**

ტარიელ როსტომაშვილი,
ტურნირის მთავარი მსაჯი
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

მილოცვა

მარინა ილაურს



დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ მარინა დეიდას. გისურვებთ წლების სიმრავლეს, ცხოვრების ლამაზად გავლას, გახარებას თქვენს საყვარელ ქმარ-შვილთ-ან და პატარა შვილიშვილებთან ტატოსთან და ნიტასთან ერთად.

თამუნა და ნინო შალვაშვილები

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს თანამემამულეს, ოკინავური გოჯუ-რიუ კარატეს მიმდევარს, შავი ქამრისა და პირველი დანის მფლობელს, სამჯერ ევროპის, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონს და მსოფლიო თასის მფლობელს, **დავით (უმცროსი) ლაფაჩიშვილს**.

ვუსურვებთ სწავლაში წარმატებებს, სპორტში დიდ გამარჯვებებს და მომავალში პირადი ცხოვრების ლამაზად მოწყობასა და გახარებას.

შპს „დავით L“-ის თანამშრომლები

ხელოვნება

სამუსიკო სკოლაში

გააცილეს კიდევ ერთი თაობა

აია „ჯემალ ბურჯანაძის სახელობის საგარეჯოს სამუსიკო სკოლას გასულ, 2016-2017 სასწავლო წელს 231 მოსწავლე ჰყავდა. აქედან 45 მოსწავლემ ივნისში უკვე აღნიშნული სკოლის კურსდამთავრებულის სტატუსი მიიღო. მანამდე კი იყო საინტერესო, ზოგჯერ დაძაბული, მაგრამ მაინც სასიამოვნო მუშაობა – ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ, პედაგოგებთან ერთად ეცნობოდნენ ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა შემოქმედებას, მათ ცხოვრებას, მონაწილეობას იღებდნენ საღღესასწაულო კონცერტებში, კახეთის მხარესა თუ თბილისში გამართულ კონკურსებში. მათი სამუსიკო გემოვნების დახვეწასა და განვითარებაზე, მუსიკალური სამყაროს გაცნობაზე კი 20 გამოცდილი, პროფესიონალი პედაგოგი სკოლის დირექტორ ლია ბურჯანაძესთან ერთად თავდაუზოგავად და ენერგიულად ზრუნავდა. საანგარიშო კონცერტის ჩატარებამდე სკოლის ყველა კლასში ჩატარდა კონცერტი, რომელზეც თავიანთი ოსტატობა აჩვენა სკოლის 231-ვე მოსწავლემ. 15 ივნისს კი სკოლის ლამაზ საკონცერტო დარბაზში სკოლის წარჩინებულმა მოსწავლეებმა მოწვეულ სტუმრებს, მშობლებს, პედაგოგებს, კლასიკური მუსიკის მოყვარულებს მოასმენინეს ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ქმნილებები, ნაწარმოებები, რომლებმაც დროს და ყველანაირ ვითარებას გაუძლო და თაობიდან თაობას მისდევს სურვილი – მათი გაცნობის, შესწავლისა და საზოგადოების წინაშე შესრულების. კონცერტში მონაწილეობდნენ პედაგოგების – ნელი ყანჩაშვილის, თეა ხატიაშვილის, ნინო ოსიყმიშვილის, ლია ნაცვლიშვილის, ეკა გოგიშვილის, მირცა ჯაფარიძის, მანანა მამუკაშვილის, დინარა ბურჯანაძის და ელზა ხიპაშვილის მოსწავლეები.

სკოლაში ჩატარებულ ყველა კონცერტზე ხაზი გაესვა იმას, რომ მსოფლიო მნიშვნელობის კომპოზიტორებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქართველ კომპოზიტორებს: ყანჩელს, მერაბიშვილს, აზარაშვილს, ტაბიძეს, დავითაშვილს, ლომდარიძეს. მოსწავლეებმა ქართველი კომპოზიტორების პოპულარიზაციის მიზნით დიდი ინტერესით და მონდომებით შეასრულეს მათი ნაწარმოებები და მსმენელთა მოწონებაც დაიმსახურეს.

საანგარიშო კონცერტის დასასრულ სკოლის დირექტორმა ლია ბურჯანაძემ სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს სიგელები გადასცა.

სექტემბრიდან კი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მისთვის ჩვეული გულთბილობითა და სიყვარულით იმ მოსწავლეებს ელით, ვინც ინტერესით, სამუსიკო სამყაროს გაცნობის მიზნით სკოლის კარს შეხსნის.

სკოლის კედლებში

მეათე თაობას გზა დაულოცა, მეთერთმეტეს ელოდება...

თაობას, რომელსაც დღეს, ივნისის ამ მშვენიერ დღეს, გზას ულოცავს **საგარეჯოს II საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგი გიული გრძელიშვილი**, უკვე ნომრით მეათეა მისთვის. ამ ოთხი წლის წინ მათ დიდი სითბოთი, სიყვარულით შეხვდა, გაეცნო, თითოეულს თავისი მერხი მიუჩინა და ერთად დაიწყეს სწავლა. ყოველდღიურად ყოველ მათგანს თავისებური მიდგომა სჭირდებოდა, ხასიათის ამოცნობა, მათი ოჯახიდან გამოყოლილი ტკივილისა თუ სიხარულის გაზიარება, ბავშვური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და ყველაფერ ამასთან ერთად, პატარებისათვის სიძნელეების დაძლევის იმ გზების სწავლება, რომლებიც მათ ყოველდღიურ მეცადინეობასა და აღზრდაში გამოადგებოდათ.

ისინი 24 იყვნენ... ადვილი არ იყო 24 ცნობისმოყვარე, ინტერესით აღსავსე პატარების შეკითხვების მოსმენა, გზის ჩვენება, მათი დაინტერესება... მაგრამ, ეს ყველაფერი ერთად შეძლეს და დაძლიეს მათ...

და აი, მშობლების, ოჯახის წევრების წინაშე მასწავლებელი და მოსწავლეები თავიანთი „ანგარიშით“ წარდგნენ. დიახ, „ამ პატარა, მოკლე დროში მათ შეძლეს ეჩვენებინათ, როგორ გაიზარდნენ 4 წელიწადში, როგორ ჩამოყალიბდნენ პატარა „პიროვნებებად“. მათ მოწვეულ სტუმრებს გოგლა ლეონიძის ბიოგრაფია და შემოქმედება გააცნეს. სიყვარულით ისაუბრეს გოგლას მოთხრობებზე, ლექსებზე, გააცოცხლეს გოგლას უბერებელი „ფუფალა“ კრებულიდან „ნატვრის ხე“, ამაღელვებლად წაიკითხეს ლექსები სამშობლოზე, ქართულ ენაზე, მადლიერებით დაემშვიდობნენ პირველ მასწავლებელს გიული გრძელიშვილს და დაპირდნენ, რომ განათლების შემდგომ საფეხურებზეც კარგად ისწავლიან და არასოდეს შეარცხვენენ პირველი მასწავლებლის სახელს.

ამ ლამაზ დღეს გიული მასწავლებლის მომავალი პირველკლასელებიც ესწრებოდნენ. მათ წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები და პირველი ნაცნობობაც შედგა – პირველ მასწავლებელთან და ახალ, მეთერთმეტე თაობასთან.

ნინოწმინდელი ფეხბურთელი გოგონები

მწვრთნელის ამოცანები

ნინოწმინდის საჯარო სკოლასთან შექმნილი ნინოწმინდის საფეხბურთო სკოლა მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით ერთადერთი სკოლაა, სადაც ფეხბურთს გოგონები თამაშობენ. ნინოწმინდელ ფეხბურთელ გოგონათა ეს გუნდი პირველად, ამ სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს ნინო გოცირიძეს ჩამოუყალიბებია და „დაუყენებია გზაზე“. ახლა კი, აგერ უკვე მეექვსე თვეა, ვეტერანი ფეხბურთელის ზურა კევლიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლებიან ფეხბურთის საიდუმლოებებს და დაბეჯითებით ემზადებიან ქალთა ქართულ ფეხბურთში თავიანთი ღირსეული სიტყვის სათქმელად. მათ მწვრთნელს გამოცდილება და მოწადინება ნამდვილად არ აკლია. როგორც ჩვენთან საუბარში თავად აღნიშნა, საგარეჯოს II საშუალო სკოლის პირველი კლასიდანვე თამაშობდა თბილისის „ნორჩ დინამოში“, სადაც შვიდი წელი თავდამსხმელის პოზიციაზე ყოფილა. ამის შემდეგ მას თბილისის „მართველში“ გადაუნაცვლებია, სადაც შოთი და აჩი არველაძეებთან ერთად თამაშობდა. ოთხ წელს „გარეჯის“ ღირსებასაც იცავდა სულიკო სტეფანიშვილის, ელგუჯა კონიაშვილისა და იმ დროის გარეჯელ ფეხბურთელებთან ერთად, ახლა კი მწვრთნელობისათვის მოუკიდია ხელი და აპირებს თავის აღსაზრდელებს სერიოზული სიტყვა ათქმევინოს ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

ამ დღეებში ნინოწმინდელ გოგონათა მწვრთნელი გაზეთის რედაქციაში გვესტუმრა თავისი აღსაზრდელების წარმატებებზე სასაუბროდ. კერძოდ, გვაცნობა, რომ ფეხბურთელმა გოგონებმა ამას წინათ გამართულ ამხანაგურ მატჩში დაამარცხეს ქ. თბილისის გათამაშებაში მონაწილე ძლიერი მოწინააღმდეგეები „ნორჩი დინამოს“ ფეხბურთელი გოგონები ანგარიშით 3:2. აღნიშნული 3 გოლიდან ორის ავტორი ამ გუნდის მოთამაშე და აია „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელის ლუდა ფერაძის აღსაზრდელი, ძიუდოში საქართველოს ჩემპიონი სალომე არაბული გახლავთ, რომელიც ერთადერთი საგარეჯოელია ნინოწმინდელ ფეხბურთელ გოგონათა შორის.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ნინოწმინდელ

გოგონებს ეს მატჩი ჰქონდათ თავისზე ერთი წლით უფროს გოგონებთან, რომლებიც უკვე მეოთხე წელია მონაწილეობენ თბილისის გათამაშებაში, ისინი კი წელს სექტემბერში პირველად აპირებენ ამ ასპარეზობაში ჩაბმას.

გარდა ნინოწმინდელი გოგონებისა, ზურა კევლიშვილი კიდევ ორი საფეხბურთო გუნდის მწვრთნელიცაა, კერძოდ, ჩამოყალიბებული აქვს 2005 წლებში დაბადებული ვაჟების გუნდი საგარეჯოს „ლომები“ და 2001-2002 წლებში დაბადებულთა გუნდი, რომლებიც ძირითადად თვითდაფინანსებით, გარკვეული მოსაკრებლების ხარჯზე ავარჯიშებთ. აღნიშნული გუნდები მონაწილეობენ, როგორც მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებში, ისე გასვლით თამაშებში. 2001-2002 წლებში დაბადებულთა გუნდს მოგებული ჰქონია მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის პირველობა, ხოლო 2003 წელში დაბადებულებს „კოკა-კოლას“ პრიზიც მოუპოვებიათ. შარშანწინ კი კახეთის რეგიონული ჩემპიონატის გამარჯვებულებიც გამხდარან. ძირითადში კი, როგორც ზურა კევლიშვილმა განაცხადა, ეს გუნდები მონაწილეობას იღებენ თბილისის პირველობის გათამაშებაში, სადაც მათ უკვე გაკეთებული აქვთ სათანადო განაცხადი. წელს 2005 წლებში დაბადებული „ლომები“ თბილისის 13 გუნდს შორის IV ადგილზე გასულა და რომ არა მსაჯების მიკერძოება, სრული შესაძლებლობა ჰქონდა პლეი-ოფში გასასვლელად. მათ ანგარიშზე ამ გათამაშებაში მოდის 46 გატანილი და 9 მიღებული გოლი და დაგროვილი აქვთ 33 ქულა. იმავე თბილისის საქალაქო პირველობაში მონაწილე 2001-2002 წლებში დაბადებული ვაჟები კი თურმე მეხუთე ადგილს იკავებენ სატურნირო ცხრილში. აქედან 2002 წლებში დაბადებულთა გუნდიდან „დინამოს“ აკადემიას აუყვანია ნინოწმინდელი ფეხბურთელი ნიკა კონიაშვილი, სექტემბრიდან კი „ავაზას“ უნდა საბა სუხიაშვილის, უნა გრძელაშვილის, გიგი მალასიძის აყვანა. 2005 წლებში დაბადებულთა გუნდიდან „დინამოს“ აკადემია აპირებს მეკარე გიორგი მეფარიძის აყვანას. საქართველოს გოგონათა ნაკრებში უნდოდათ დოდუკა კერატიშვილის აყვანაც, მაგრამ მისი მშობლები სასტიკ უარზე არიანო, – დასძინა ნათქვამს ზურა კევლიშვილმა. აქვე მან თავისი სამომავლო გეგმებიც გაგვანდო. კერძოდ, სექტემბრიდან გეგმავს პირველ-მეორეკლასელი ბიჭების სავარჯიშოდ აყვანას, რომელთაც ასევე თბილისის პირველობაში ჩართავს, რადგან მიაჩნია, რომ იქ მონაწილეობა უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს პატარა ფეხბურთელებს შემდგომი განვითარებისა და დაოსტატებისათვის. მანამდე კი ჩაამთავრებენ რამდენიმე დარჩენილ მატჩს და შემდეგ თავიანთი სახსრებით ქობულეთში საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრებაზე გაეგზავრებიან,

გ. დაგახიშვილი

ხსოვნა

გურამ დავითელაშვილი



შენ არასოდეს დააგვიწყდები შენს საგარეჯოს, შენს საყვარელ მეგობრებს, ახლობლებს, შენს სათაყვანო ოჯახს, ჩემო დაუდგარო, უკვდავებაში გადასულო, ჩემო დიდო გულისტკივილო და მოუშუშებელო ჭრილობავ, ჩემო გურამ! 13 წლის წინ, ივნისის იმ ავბედით დამეს საგარეჯოს ქუჩებში ჩაგისაფრდა შენი ბედისწერა და სახლიდან ღიმილით გასული ვაჟკაცი გულგაციებული დაგაბრუნა მოულოდნელობისაგან ელდანაცემ მშობლებთან... შენ მაშინ 21-ის იყავი, შვილო, მაგრამ უკვე მეუღლე და მამა გერქვა... ასე დაობლდა შენი პაწია ანი, ახლა რომ ულამაზესი, სიყვარულით სავსე გოგონაა.

მე-13-ედ უშენოდ მოვიდა და მიდის ეს ივნისიც ჩემო ერთ დროს სიცოცხლით სავსე, შვილო. ამ წლებში ბევრი რამ კარგიც მოხდა და გულდასაწყვეტიც... შენს სახელს ჩვენგან ისმენენ შენი ორი დისშვილი და შენი სანდროს ორი ბიჭი, რომელთაგან ერთ-ერთს შენი სახელი ჰქვია... ილოცე უფალმა, შვილო მისი ბედნიერი მომავლისათვის...

ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩემო გურამ!

დედა – ზინკა ჩიტაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი“-ში.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე